გეოგრაფია და არქიტექტურა: ურთიერთდამოკიდებულება და ლანდშაფტების არქიტექტურის ზოგიერთი საკითხი თბილისის მაგალითზე

ხატია გულიტაშვილი
ელ.ფოსტა: khatia.gulitashvili490@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
0179, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N3

სამაგისტრო ნაშრომში - გეოგრაფია და არქიტექტურა: ურთიერთდამოკიდებულება და ლანდშაფტების არქიტექტურის ზოგიერთი საკითხი თბილისის მაგალითზე, განხილულია გეოგრაფიისა და არქიტექტურის ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი წინაპირობა, სამეცნიერო-მეთოდური წყაროები და ისტორიულ - გეოგრაფიული თავისებურებანი. გადმოცემულია ბუნების ჰარმონიულობის კანონები და ამოსავალი ცნებები გარემომცველი სამყაროს მშვენიერების შესახებ. მოცემულია თბილისის ზოგიერთი ტერიტორიის უკვე არსებული ლანდშაფტურ-არქიტექტურული შეფასების ანალიზი. გაკეთებულია ვერეს ხეობის ლანდშაფტურ-არქიტექტურული და ესთეტიკური შეფასება.

ნაშრომი შესრულებულია ლიტერატურულ და კარტოგრაფიული წყაროებზე დაყრდნობით და ჩატარებული კვლევების შედეგად შეგროვებული მასალების ანალიზის საფუძველზე. ნაშრომი რეალურად ასახავს სამაგისტრო დიპლომში დასმული საკითხების დღევანდელ მდგომარეობას.

დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიმაჩნია ლანდშაფტების არქიტექტურის ესთეტიკის, დიზაინის, და პროექტირების პრობლემების გადაჭრა თანამედროვე თვალსაზრისის საფუძველზე, სახელმწიფო დონეზე. მივესალმები თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსის ლანდშაფტების არქიტექტურა: ესთეტიკა, დიზაინი და პროექტირების ჩასმას და ამ კუთხით მუშაობის გარძელებას.

მიმაჩნია, რომ გადაუჭრელი პრობლემები არ არსებობს, საჭიროა პრობლემების რეალურად გამოვლენა, შესწავლა და სწორი ღონისძიებების გატარება. წინამდებარე ნაშრომში გთავაზობთ არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ჩემეულ ხედვას.

ლიტერატურა

1. Александров П. С. Необходимое Вдохновение // Литературная газета. 1967. 25 Января
2. Архитектурная композиция садов и парков. М.: Стройиздат, 1980.